ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა

საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის

გადაწყვეტილება N2

2014 წლის 4 დეკემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ვაკანტურ საჯარო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ფორმების, პროცედურების და პირობების დამტკიცების შესახებ

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის N38 დადგენილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ვაკანტური საჯარო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ფორმები, პროცედურები და პირობები თანახმად N1 დანართისა.
2. დამტკიცდეს „კანდიდატთა შეფასების ფურცელი“, თანახმად N2 დანართისა.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

კომისიის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ვაკანტური საჯარო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ფორმები, პროცედურები და პირობები

მუხლი 1. წესის მიზნები

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ვაკანტური საჯარო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ფორმები, პროცედურები და პირობები“ განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში კანდიდატების განაცხადების მიღების, გადარჩევის და კონკურსის ყველა ეტაპზე შეფასებებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის გასატარებელ პროცედურებს.

მუხლი 2. კონკურსის ეტაპები და ვადები

1. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის შესაბამისობის დადგენას წამოყენებულ მოთხოვნებთან;

ბ) მეორე ეტაპი - ტესტირება, რაც წარმოადგენს კონკურსანტთა პროფესიული ცოდნის დონისა და უნარების შემოწმებას ტესტების მეშვეობით;

გ) მესამე ეტაპი - გასაუბრება, რაც ითვალისწინებს კონკურსანტის ზეპირ გამოცდას, რომელიც ტარდება კომისიის მიერ კონკურსანტის პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით.

2. კონკურსის პირველი ეტაპის ჩატარების ვადები განისაზღვრება ამ წესით, ხოლო მე-2 და მე-3 ეტაპების ვადები და გრაფიკი განისაზღვრება კომისიის მიერ, კონკურსის თითოეული ეტაპისთვის ცალ-ცალკე, კონკურსის წინა ეტაპის შედეგების შემდგომ, შემოსული განცხადებების რაოდენობისა და მათი განხილვისთვის აუცილებელი ვადების გათვალისწინებით.

3. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

მუხლი 3. განცხადების გადარჩევა

1. განცხადების გადარჩევა წარმოადგენს პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმებას.

2. კომისიის სამდივნო, განცხადებების მიღების ვადის დასრულების შემდეგ ამოწმებს მიღებული დოკუმენტაციის სისრულეს და მათ შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მათ გადამოწმებას და არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს კომისიის გადაწყვეტილების პროექტს კანდიდატთა კონკურსში დაშვების ან კონკურსში დაშვებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საკონკურსო-საატესტაციო კომისია განიხილავს შემოსულ განცხადებებს, სამდივნოს მიერ მომზადებულ პროექტებს და კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატების კონკურსში დაშვების და კონკურსში დაშვებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კონკურსში დაშვებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტები (აკლია ერთი ან რამოდენიმე დოკუმენტი, რასაც ითხოვდა საკონკურსო განცხადება);

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტების შეუსაბამობა დადგენილ მოთხოვნებთან (წარმოდგენილი დოკუმენტებიდან თუნდაც ერთი არ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადებით დადგენილ რომელიმე მოთხოვნას);

გ) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ყალბია ან არ შეესაბამება სინამდვილეს;

დ) კანდიდატს განაცხადი გაკეთებული აქვს 5-ზე მეტ პოზიციაზე.

5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შემოსული განცხადებების კორექტირებისა და სრულყოფისთვის დამატებითი ვადის დაწესების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შემოსული განცხადებები მრავლად შეიცავს ისეთი ხასიათის ხარვეზებს, რაც ტექნიკურ ხარვეზად, ან მექანიკურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში კონკურსანტთათვის დამატებით მიცემული ვადა არ უნდა აღემატებიდეს 1 დღეს, ხოლო კომისიის სამდივნოს დამატებით ეძლევა 3 სამუშაო დღე კორექტირებული დოკუმენტაციის გადარჩევისთვის.

6. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე იმ კანდიდატთა სია, რომლებიც დაშვებულნი იქნენ კონკურსში, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.khobi-sakrebulo.ge; www.khobi.ge). ამავე ვადაში კანდიდატს განცხადების გადარჩევის ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

7. კანდიდატებს, რომელთაც უარი ეთქვათ კონკურსში დაშვებაზე, უფლება აქვთ, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივრონ საპრეტენზიო კომისიაში, რომელიც არა უგვიანეს 3 დღის ვადაში განიხილავს განცხადებას და თავის წინადადებებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას. საკონკურსო-საატესტაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

8. თუ გამოცხადებულ ვაკანსიაზე არც ერთი განცხადება არ იქნა შემოსული, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.

მუხლი 4. ტესტირება

1. ტესტირება წარმოადგენს კანდიდატთა პროფესიული ცოდნის დონისა და უნარების შემოწმებას ტესტების მეშვეობით.

2. ტესტირება ტარდება ელექტრონულად, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და მის ჩატარებას მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ (შემდგომში - „იუსტიციის სასწავლო ცენტრი“).

3. ტესტირების ჩატარების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის №73/სა ბრძანებით.

4. პირველი ეტაპის შედეგებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემდგომ კომისია, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ათანხმებს ტესტირების სავარაუდო თარიღს (თარიღებს) და ჩატარების გრაფიკს, რისთვისაც ცენტრს ეგზავნება ინფორმაცია კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატთა შესახებ.

5. ტესტირების თარიღს (თარიღებს) და ჩატარების გრაფიკს ამტკიცებს კომისია საოქმო გადაწყვეტილებით.

6. ტესტირების ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია კანდიდატს ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, არაუგვიანეს 2 დღით ადრე.

7. პირი ვალდებულია ტესტირების ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს გრაფიკით განსაზღვრულ დროს.

8. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა) გარეშე პირი ტესტირებაზე არ დაიშვება.

9. ტესტირებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.

10. დადებითი შეფასების მისაღებად და შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატმა უნდა დააგროვოს საკრებულოს მიერ დადგენილი აუცილებელ ქულათა რაოდენობა (მინიმალური ზღვარი).

11. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს გავლილი აქვს ტესტირება, იგი უფლებამოსილია ხობის მუნიციპალიტეტისთვის დაგეგმილ ტესტირებაზე არ მიიღოს მონაწილეობა და კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ტესტირების ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების მიღებიდან ორი დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მისთვის დადგენილი ტესტირების თარიღისა, საკონკურსო-საატესტაციო კომისიას წარუდგინოს ტესტირების გავლისა და მიღებული ქულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

12. ტესტირების დასრულების შემდგომ, იუსტიციის სასწავლო ცენტრიდან მიღებულ ტესტირების შედეგებს ამუშავებს კომისიის სამდივნო, რომლის ფარგლებშიც დგინდება ტესტირებაზე გამოცხადებულთა და ტესტირებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარგადალახულთა რაოდენობა და ვინაობა, რომელსაც ემატება ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული პირების რაოდენობა და ვინაობა, ტესტირებაგავლილი (ბარიერგადალახული) კანდიდატები ნაწილდება მათ მიერ გაკეთებული განაცხადების მიხედვით შესაბამის ვაკანსიებზე და მზადდება კომისიის გადაწყვეტილების პროექტი კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების შესახებ.

13. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე იმ კანდიდატთა სია, რომლებიც დაშვებულნი იქნენ კონკურსის მე-3 ეტაპზე, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.khobi-sakrebulo.ge; www.khobi.ge). ამავე ვადაში კანდიდატს განცხადების გადარჩევის ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

14. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების მიღებიდან ორი დღის ვადაში, საპრეტენზიო კომისიაში, რომელიც არა უგვიანეს 3 დღის ვადაში განიხილავს განცხადებას და თავის წინადადებებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას. საკონკურსო-საატესტაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

მუხლი 5.

1. გასაუბრება წარმოადგენს კონკურსანტის ზეპირ გამოცდას, რომელიც ტარდება კომისიის მიერ კონკურსანტის პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით. გასაუბრებაზე დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებმაც გადალახეს ტესტირებისთვის დადგენილი ბარიერი.

2. გასაუბრებაზე დაშვებულ კონკურსანტთა სია, გასაუბრების ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის მითითებით ქვეყნდება გასაუბრების დაწყებამდე 2 დღით ადრე მაინც. ამავე ვადაში გასაუბრების გრაფიკის მიხედვით ინფორმაცია კანდიდატს ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა) გარეშე გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.

4. გასაუბრებაზე დაუშვებელია მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა. კონკურსანტი ვალდებულია გასაუბრების დაწყებამდე აღნიშნული საშუალებები ჩააბაროს კომისიის სამდივნოს.

5. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში - გასაუბრების დაწყებამდე 1 საათით ადრე მაინც.

6. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ კანდიდატი ვალდებულია, იმყოფებოდეს რეგისტრაციის ადგილზე და დაელოდოს გამოძახებას.

8. გასაუბრების დაწყების დროისთვის იხურება შენობის შესასვლელი, კონკურსს დაქვემდებარებულ პირთა რეგისტრაციის ფურცელზე კეთდება კომისიის უფლებამოსილი პირის შესაბამისი ჩანაწერი და დაგვიანებული პირები გასაუბრებაზე არ დაიშვებიან.

9. გასაუბრება ტარდება შემდეგი ფორმით:

ა) კონკურსანტებს გასაუბრების ოთახში იძახებს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი კონკურსანტების სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. გასაუბრების ოთახში კონკურსანტები შედიან სათითაოდ.

ბ) გასაუბრებაზე კომისია კონკურსანტს კითხვებს აძლევს მისი პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით, კომისია ასევე კონკურსანტს კითხვებს აძლევს კონკრეტულ პოზიციაზე საკრებულოს მიერ დადგენილი სამართლებრივი აქტებიდან კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვების შესაბამისად. კითხვები შეიძლება დაისვას განსაზღვრული თანმიმდევრობით. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე.

გ) გასაუბრების მიმდინარეობისას კომისიის წევრები ინდივიდუალურ ჩანაწერებს აკეთებენ თითოეულ კონკურსანტზე კომისიის მიერ შემუშავებულ შეფასების ფურცელში. შეფასების ფურცელი წარმოადგენს კომისიის წევრისთვის კანდიდატთა უნარ-ჩვევების შედარებისათვის ხელშემწყობ ფორმას, რომელიც შეიძლება მას დაეხმაროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანდიდატთა შეფასების ფურცელში შეფასებები კეთდება ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმების მიხედვით. კომისიის წევრს უფლება აქვს გამოიყენოს, ან არ გამოიყენოს დამატებითი კრიტერიუმები კონკრეტული ვაკანსიის ფარგლებში თანაბრად.

დ) გასაუბრების დასრულების შემდეგ კონკურსანტი ტოვებს ოთახს. იგი ვალდებულია ასევე დატოვოს შენობა.

ე) გასაუბრებაზე მოწვეული სპეციალისტის (სპეციალისტების) ყოფნის შემთხვევაში კომისია ისმენს მის (მათ) კომენტარებს დასმულ კითხვებზე კონკურსანტის პასუხებთან დაკავშირებით, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული და ჩანიშნული შეფასების ფურცელში.

7. ყველა კონკურსანტის მიერ გასაუბრების გავლის შემდეგ კომისიის წევრთა მიერ შევსებული კანდიდატთა შეფასების ფურცლების შესაბამისად მზადდება კანდიდატთა მიერ მიღებული ქულების ჯამური მონაცემები.

8. კანდიდატთა მიერ მიღებული ქულების ჯამური მონაცემების შესაბამისად თითოეულ კანდიდატზე გამოიყვანება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული, კომისიის წევრთა იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რამდენმაც მიიღო მონაწილეობა მის შეფასებაში (რამდენიც ესწრებოდა გასაუბრების კონკრეტულ ეტაპს).

9. კანდიდატთა მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით დგება კანდიდატთა რეიტინგი თითოეულ ვაკანსიაზე, რომლის მიხედვითაც ეწყობა კენჭისყრა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. თანაბარი საშუალო ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კონკურსანტს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო მეტი სტაჟი თანაბარი სტაჟის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს განათლების უფრო მაღალი ხარისხი.

10. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს.

11. კომისია უფლებამოსილია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგინოს მხოლოდ ერთი კანდიდატი ან უარი თქვას კანდიდატის წარდგენაზე.

12. კენჭისყრა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იმართება შემდეგი პრინციპით:

ა) თითოეული ვაკანსიისთვის, თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენისთვის კეჭისყრაზე კომისიას წარედგინება უმაღლესი ქულების მქონე სამი კანდიდატი (რეიტინგის მიხედვით პირველი სამი კანდიდატი).

ბ) კანდიდატის დასანიშნად წარდგენაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომდევნო კანდიდატებს კენჭი აღარ ეყრებათ და მიიღება გადაწყვეტილება დანარჩენი კანდიდატებისთვის დასანიშნად წარდგენაზე უარის თქმის შესახებ;

გ) იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის დასანიშნად წარდგენაზე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, კენჭისყრის პროცესში მესამე კანდიდატად ერთვება რეიტინგის მიხედვით შემდეგი კანდიდატი და ა. შ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

დ) იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ვაკანსიაზე ადგილების რაოდენობა აღემატება ერთს, კენჭისყრის პროცესში კანდიდატის დასანიშნად წარდგენაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კენჭისყრაზე დგება რეიტინგის მიხედვით მომდევნო 3 კანდიდატი და ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარყოფითი გადაწყვეტილებები არ მიიღება თითოეული ადგილისთვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

ე) კენჭისყრაზე არ დგება იმ კანდიდატის საკითხი (მიუხედავად აღებული რეიტინგისა) რომელზეც უკვე გაიმართა კენჭისყრა სხვა ვაკანსიაზე და მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში კენჭი ეყრება რეიტინგის მიხედვით მომდევნო კანდიდატს.

ვ) ყველა კანდიდატზე კენჭისყრის დასრულების ან/და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომისია განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ჩაშლილ კონკურსებთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მუხლი 6.

1. კომისიის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში, ეცნობება თითოეულ კანდიდატს და ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილ პირს.

2. კონკურსში გამარჯვებულად ცნობილი კანდიდატი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე თუ იგი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი კვირის ვადაში თანამდებობაზე მისი დანიშვნის უფლებამოსილ პირს წარუდგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებას.

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

დანართი 2

კანდიდატთა შეფასების ფურცელი

შევსების თარიღი: _____

ვაკანსიის ნომერი:
თანამდებობის დასახელება:
ადგილების რაოდენობა:
კანდიდატთა რაოდენობა:

N	კანდიდატის სახელი და გვარი	შეფასება (ქულები)									დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნა)	საბოლოო გადაწყვეტილება
		ძირითადი კრიტერიუმები					დამატებითი კრიტერიუმები			ქულების ჯამი		
		პროფესიული ცოდნა	კომუნიკაციის უნარი	მეტყველების უნარი	განათლება	გამოცდილება						
1.												
2.												
3.												

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი:

--- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შეფასების დონეები:
1 ქულა – დაბალი (მინიმალურ დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)
2 ქულა – საშუალოზე დაბალი (მინიმალურად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)
3 ქულა – საშუალო (დამაკმაყოფილებელი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)
4 ქულა – საშუალოზე მაღალი (საშუალოზე მაღალი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)
5 ქულა – მაღალი (მაღალი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)

კომისიის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია